## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-867

26/10/2018 ქ. თბილისი

**ქ. თბილისში შპს "ჯორჯიან პეტროლიუმი"-ს საავიაციო საწვავის ტერმინალის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ახალი 1000 მ$^3$ მოცულობის რეზერვუარის მშენებლობა და ორი, თითეული 400 მ$^3$ რეზერვუარების შეცვლა 1000 მ$^3$ მოცულობის რეზერვუარებით) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 29-ე პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გაიცეს ქ. თბილისში შპს "ჯორჯიან პეტროლიუმი"-ს საავიაციო საწვავის ტერმინალის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ახალი 1000 მ$^3$ მოცულობის რეზერვუარის მშენებლობა და ორი, თითეული 400 მ$^3$ რეზერვუარების შეცვლა 1000 მ$^3$ მოცულობის რეზერვუარებით) სკოპინგის დასკვნა #44; 25.10.2018წ;
2. შპს "ჯორჯიან პეტროლიუმი" ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #44; 25.10.2018 წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს "ჯორჯიან პეტროლიუმი"-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს "ჯორჯიან პეტროლიუმი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი